ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4665743

ნომერი: AR1703660

თარიღი : 04.09.2019

გაცემის თარიღი : 11.09.2019

გაცნობის თარიღი : 11.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში ფარნავაზის ქუჩაზე; ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში , ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2); ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , საცხოვრებელ რაიონში ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N6); ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა ფარნავაზი , ნაკვ.11/059;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები
  - კავშირგაბმულობის ანძა/ქსელი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

სამსახური განმარტავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 09 სექტემბრის №13-01192523299 წერილით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა AR1703660 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობები. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამის ეტაპზე წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული

დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში დამატებით წარმოადგინოს:

არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოდგენილი იქნას დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები (ფოტოგადაღების თარიღის მითითებით);

2. გაცნობებთ, რომ ხარვეზის გამოსწორებისათვის გეძლევათ 10 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.